

ცისკარი.

1864

ნოემბერი.

წელიწადი მეგრე.

წოდება თხზულებათა:

- I — ბატონუმობის ანბანი. — უქაზი მმართველის სენატისადმი. —
ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლის ავარი,
შესახებ თავადაზნაურობის ბანკისა.
- II — 1, საბრძოლო. ვიკტორ ჭიუგოვს რამანი. გ. დიდებულიძისა.
2, კლავისი და რიგულფი მონადირე. — მისივე.
- III — 1. ტილანისადმი. (ლექსი) თ. ჯავ. მაჩაბელისა. 2, შეგიძლი,
(ლექსი ბერანჯი. (თ. გიორგ. ორბელიანისა.
- IV — კალიფორნია. (მოგზაურობა. რუს.) გ. დიდებულიძისა.
- V — სხვა და სხვა ანბანი. (იხილე მეორე გვერდზე)

ტფილისი



კერესელიძის ტიპოგრაფიაში

ბატონ-უმობის ანბავი.

ეს **1864** წელიწადი, უმეტესად ამ წლის
ნოემბრის პერვე დღე, ვისაც კი ესმის კა-
ცობრიობა და იმისი მნიშვნელობა, ეოვე-
ლთათვის დაუვიწყარი დღე არის. ამ დღეს,
გამოეცხადად საქართველოს გლეხთ თავი-
სუფლება შებატონეთ მონებისაგან. გლეხთ
ეს ეოვლად უმოწეალესი ჯ ე ლ მ წ ი ფ ე
ი მ ჯ ე რ ა ტ ო რ ი ს ა გ ა ნ წეალობა გა-
მოეცხადათ შემდგომის სახით: ტფილისის
სიონის სობოროში დილით ცხრა საათიღ-
გან საღრმთო ლიტურგია შეასრულა მაღალ-
ეოვლად უსამღჳდელოესმან საქართველოს
ექსარსოსმან ევსევიმ. წირვაჲედ ბჰანდებოდა
მ ი ს ი ი მ ჯ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი თ ი უ მ ა-

დღეს ობა კავკასიის ნამესტნიკი მი-
ხეილ ნიკოლაოვი სპედა ეოვე-
ლნი ძალა-სარისხში მეოფნი სამოქალაქო,
თუ სამხედრო სამსახურში მეოფნი ზირნი. რო-
დესაც წირვა გათავდა, ბარონი ალექსანდრე
ზავლეს მე. გამომართა გუნების მეიდანზედ, სა-
დაცა მოჭყენებატონეობის კომიტეტის მწევ-
რნი და ვიცე გუბერნატორი. აქ, ამ მოედნის
მუხგულს იდგა კარავი, ზარაკლისის გადა-
სახდელათ. ამ კარავს გარშემო უდგნენ ეო-
ველის ტფილისის უეზდის სოფლის ნაცვ-
ლები და ორ ორი დეპუტატი თვითოეულის
სოფლითგან. გარშემო მოედანი სავსე იყო
მაუურებელ ხალხითა. დღე იყო მართლად-
და ამ დღესასწაულის შესაფერი. თითქოს
ბუნებასაც უხაროდა საზოგადო სისარული
და მსე მოწმენდილს ციღვან, სსიეებს უხ-
ვად განახნევდა ახლად განთავისუფლებულ
და მრთელს სისარულით სავსე ხალხზედ.
როდესაც მოახლოვდა დანიშნული დრო,

როდესაც სიონითგან ამოვიდნენ ეგზარსი,
 იმისი კრება და მოემსადნენ კარვის ქვეშ
 ჰარაკლისის გადასასდელათ, სტატს-სეკრეტა-
 რი ბარონი ნიკოლაი, ავიდა საჩინო ძალა-
 ლს ალავს აჩვენალის წინ, მარჯვნივ უ-
 დგნენ ჭლიგელ-ადიუტანტი ბარონი კორჭი
 და ბატონუმობის კომიტეტის მწევრნი; კელ
 მარცხნივ ტფილისის გუბერნიის თავად-აზ-
 ნაურთ მარშალი და უესდის მარშლები და
 სხვანი ძაღალ-სარისხობის წოდების ჰიზნი,
 სტატს სეკრეტარმა ბარონ ნიკოლაიმ, რა
 დაანახვა ემებს ჭლიგელ-ადიუტანტი ბარონი
 კორჭი, გამოუცხადართმ ამან ჩამოიტანა მის
 დიდებულების კელმწიფეიმ-
 ჰერატორის უკაზიო, შესახებ თქუცნის
 განთავისუფლებისათ, ამისშემდგომ წაიკითსა
 სმა ძაღლა ის ეოვლად უმოწეალესი უქაზი.
 როდესაც გაათავა, შემდგომ წაიკითსა ესევე
 უქაზი ქართულს ენაზედ სმა ძაღლა, ბა-
 ტონ-ემობის კამიტეტის მწევრმა ლენერალ

ლეიტენანტმა თავადმა ბაგრატიონ-მუსრან-სკიმ, რა გაათავა კითხვა, ჰაერში შეირეკა გლეხების და მაეურებელთ ურას სახილთ. შემდგომს დაიწეს საძლრთოს კრებათ ჰარაკ-ლისი და, როდესაც მოისხენიეს კ ე ლ მ წ ი-ფე ი მ ჰ ე რ ა ტ ო რ ი და მისი უავკვის-ტოესი სახლობა და განისმა სმა მრავალ-ეა-მიერისა, ას ერთი ზარბაზანი დაიცალა მეტესის ცისითგან. ამის შემდგომს ნაცვლები და დე-ჰუტატები გლეხების მხრივ წარდგენს სასა-ხლის წინ, სადაც გრძელს წითელ მაუდ-გადაკრულ სტოლზედ ეწეო დაბეჭდილი ბა-ტონ-ემობის შესახებ კანონები. ბალკონზედ გამობმანდა მ ი ს ი უ მ ა ლ ლ ე ს ო ბ ა მ ი ხ ე ი ლ ნ ი კ ო ლ ა ო ს ი ს-მე, რო-მლის ბმანებით ბარონ ნიკოლაიმ წაუკითხა გლეხებს დარიკება, თუ როგორ უნდა აღს-რულებდნენ თავიანთ მოვალეობასა. ამავე დარიკებას უთარგმნიდა თავადი ბაგრა-ტიონ--მუსრანსკი. გლეხები დიდის ეურად-

ღებით მოისმენდნენ უოველსა ამაჲს. როდესაც
 გაათავეს კითხვა და ბოლოს სტრიქონები
 წაუკითხეს, სადაცა სწერია, «ღუთის კურთ-
 ხევა გიძღოდეს თქუენ ამ ახალს, გასხნილს
 თქუენ წინაჲ გზასა ზედა!» გლეხებმა
 ერთბაშე შექნეს ზახილი ღმერთმან
 გადაგიხდოთ თქუენ; ღმერთმა გადღე-
 ძელოსთ ჩუენის ბედნიერებისათჳსაო.»
 შემდგომს წაუკითხეს სია იმ ჰირთა, რო-
 ძელნიცა დანიშნულ არიან მართებლობისაგან
 ბატონების და ებების შუა სამსახურის
 გასაწესებლად. მ ი ს მ ა უ მ ა ღ ლ ე ს-
 ბ ა მ მ ი ს ე ი ლ ნ ი კ ო ლ ა ო ზ ი ს
 მ ე მ, მიულოცა გლეხებს ესრეთი გ ე მ-
 წ ი ფ ე ი მ ჰ ე რ ა ტ ო რ ი ს წ ე ა ლ ო ბ ა, და
 რამდენიმე დარიგებაჲს დარიგებაც უთარ-
 გმნა თ. გრიგოლ დიმიტრის-მემ ორბელია-
 ნმა. რა ეს ეველა გათავდა, მ ი ს უ მ ა ღ ლ ე-
 ს ო ბ ი ს ნამესტნიკის ბჰანებით, სტატს-
 სეკრეტარმა ბარონმა ნიკოლაიმ დაურთო

გლეხებს, დაბეჭდილი წიგნები, სადაცა დაწერილებით მოსსენებულა მოვალეობა გლეხებისა სამსახურის შესახებ. ბოლოს გლეხები მიწვეულ ივნენ სადილსად, რომელიცა მომზადებული იყო სასახლის წინ შეიდანსად, ურიცხვ დაცემულ კარვების ქვეშ.

უქაზი მმართველის სენატისადმი.

მანიფესტითა თებერვლის 19 დღესა 1861 წელსა გამოცემულითა, და განწესებითა, ამავე დღეს ჩუენ მიერ დამტკიცებულითა, განვითავისუფლეთ რუსეთში ემობითის დამოკიდებულობისაგან მებატონეების გლეხნი და მივანიჭეთ გლეხთა მათ წოდებითი უფლება თავისუფლად შეოფთა გლეხთა და დაწვლილებით განვაჩინეთ მოვალეობანი გლეხთა მამულის ჰატრონთადმი, გარდასასადი და მათი საზოგადო მმართველობა.

გულის-სმა ვჭეავით, რომ შემდგომ ამა-
სა ემობითი წოდება დაძოვება კავკასიის მთის
იმიერ მხარეში და ჯერ-ვიჩინეთ მუნცა ჯე-
როვანად მოქმედება განსათავისუფლებლად
გლესთა ემობითის დამოკიდებულობისაგან;
ამისთვის ჩუჭნ მივანდეთ უმთავრესსა კავ-
კასიის მთის იქით მმარებლობასა, რათა
შეუდგეს სათანადოდ საქმისა ამის განსჯასა.

აღსასრულებლად ჩუჭნისა ჩვენე-
ბისა გელ-ჭევეს უწინარეს თბილისის გუ-
ბერნიაში. ამაზედ კეთილშობილთა ღუ-
ბერნიისა ამის, შეკრებილებათა თვისთა,
ერთ-პირად სათნოდ მიიღეს განთავისუფ-
ლება გლესთა ემობითის დამოკიდებულო-
ბისაგან. ამის უკან წინადადებანი ასლად
დაბინავებისათვის გლესთა, მეოფთა ემობი-
თის წოდებაში და მოვალეობანი გლესთა
ამათ მებატონეთადმი თბილისის გუბერნიაში
ვრცლად გაშინჯულ-იევენ ადგილობითის
კომიტეტში, რომელშიაც მიიღეს მონაწი-

ლეობა მუნ მოწოდებულთა თვითიერს უე-
ზდისაგან მეხატონეთ. შედგენილნი ამ სახით
სჯულის წინა-დადებანი ამ საგანსედ უზირ-
ველესს განსილულ-იევნენ მ ი ს ი ს ი მ-
ზ ე რ ა ტ ო რ ი ს უ მ ა ლ ლ ე ს ო ბ ი ს ა-
გ ა ნ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ნ ა მ ე ს ტ ნ ი კ ი ს ა და დასასრულ
დაწვლილებით განსჯილ იევნენ შეერთებულსა
სამსჯავროსა კავკასიის კომიტეტისა და
უმათაგნისა კომიტეტისა მსოფლიოთა წო-
დების დასაბინავენლად.

დავამტკიცეთ რა ამ გვარად შედგენილნი
და განსილულნი: ა) დამატებითნი წეს-დე-
ბისადმი **19** თებერვლის **1861** წლის კა-
ნონნი გლეხთათჳს, გამოსულთა ემობითის
დამოკიდებულობისაგან თბილისის გუბერნი-
აში; ბ) ადგილობითი წეს-დება, დაბინავე-
ბისა გამო გლეხთა მოსახლეთა მეხატონის
მიწებზედ; და გ) კანონნი დაწესებისათჳს მა-
თის საზოგადოებისა გამკეობისა და სა-
ხელმწიფოთა და საზოგადოებითა გადასა-

ხადთათჳს იმავე გუბერნიაში, ჩუჴნ წარესცემთ უოველთა ამათ მმართველისა სენატისადმი და ვუბძანებთ მას, რათა ჯეროვნად განკარგოს სახალსოდ გამოცხადება და მოუქანა უოველთა ჰსჯულთ-დებათა ამათ მოქმედებაში.

ნამდვილსედ მისი იმპერატორის დიდებულობის საკუთარის ხელით ჩართულია:

«აღექსანდრე.»

ნიცაში,

13-ს ოკტომბერს 1864 წელს.

შემდგომს ნომრებში, რედაქცია ეცდება წააკითხოს ცისკრის მკითხველებს დაწერილებით ბატონ-უმობის შესახებ დარიგება და კანონები.

ერთი კიდევ უმთავრესი საგანი უნდა მოვისხენიოთ. ის საგანი, რომელიც უოვლის ქართულსათჳს აუცილებელი საჭიროა, და

რომელიცა შეადგენს ზირველს საღსის ბედნიერებას. ეს საგანი არის ჭსწავლა. ჩუქნმა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალმა უფალმა დიმიტრი ეიფიანმა გაჰოუცხადა საზოგადოდ თავად-აზნაურობის წევრთ, ერთი ჭაზრი, რომელიცა თუ შესრულდა, მაშინ არ არის ეჭვი ჩუქნი ქართუტლობა გადასდგავს დიდს ბიჯს. საჭიროთ ვრაცხთ წავაკითხოთ ეს აზრი ჩუქნის ჟურნალისა მკითხუტლებს. აი ეს აზრი, თუ-თან იმის სიტუტუტებით წარმოთქმული: «ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალისაგან, საზოგადოდ თავად-აზნაურობის წევრთა მიმართ. ჩუქნმა ემებმა თავისუულება მიიღეს;—იმათის სამსახურის მაგიერად ჩუქნ გვემღევა—გელმწიუის სიუსუტუტაგან უული.

სამართლით და წინათ-მსედველობის ვალდებულებით რიგი იქნებოდა, რომ ეს უული სულ ერთიანად, ან უმეტესი ნაწილი

მაინც, შესანახავად გადაგვედუა ჩუტნის მუ-
ლებისა და შემკვდრებისათჳს.

მაგრამ იტყუან რომელნიმე, ამ ჟამად
თჳთან ჩუტნ გვიჭირს საქმეო და ამასთან
კანონიც სომ გვაძლევს ნებასა, ჩუტნი სა-
კუთრება როგორც გვინდა ისე მოვიხმარო-
თო და ჩუტნს შთამომავლობას რომ არა
დაუგდოთრა, ვის რა დავა აქვსო.

დიას მართალი და დიას საუუქულოანი
იქნება ეს სიტყუა;—მაგრამ ჩუტნში მე ისე-
თი მულების ჰატრონი მამა არავინ მეგუ-
ლება, რომ ამ სიტყუას დაადგეს და მუ-
ლებისათჳს სულ აღარ იზრუნოს;—არცა-
რავინ უმჯლო მეგულება ისეთი, რომ იტ-
უოდეს, მე კარგათ ვიეო და ქუტყანა წუა-
ლსამც წაუღიაო.

ამის გამო არა იმათ, არამედ ეოველ-
თავე თავად-ახნაურთ მოგმართავთ, ჩუტნის
საზოგადოების წევრთა, რომელთაც მეგი-
ძლიანთ ნათელის გონიერებითაც ცხადად

დაინახოთ და განწყენდილის გულითაც კარგად ასწონოთ, ვის რა ვალდებულება გაქვსთ წინაშე ღმრთისა, ან რა პასუხის გასცემნი უნდა იყვნეთ თქვენის ძვლებისა, თქვენის საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, — თუ დღევანდელი ნიჭი უნაყოფოდ მოისმარეთ.

მე ამას არასოდეს არ გეტყვით, რომ რასაც ფულს მოეღოთ, სულ თქვენს მთამომავლობას მახსოვს. — არა!.. თქვენ თვითან დიდად დაგჭირდებათ ფული; მიიღეთ და ღმრთის შეწევნით მოისმარეთ თქვენთვის, საკუთრად თქვენის დღევანდელის საჭიროებისათვის, უმეტესი ნაწილი, — მე მხოლოდ ამას გირჩევთ, გთხოვთ და გევედრებით, რომ ერთი მეხუთედი მაინც გადასდეთ, საკუთრად თქვენთვისვე სახელად, და თქვენის ძვლებისა, ძვლისძვლებისა და უმორესის მთამომავლობისათვის.

აქედამ აჲ რა შესდგება: თავნი დად-
გება ოცდა ათი ან ორმოცი ათასი თუმა-
ნი,—ან ასე იყქჳს, **500**. ათასი ან **400**.
ათასი რუბლი. ამ ფულით შეიძლება და
კანონიც გვაძლევს ნებასა, რომ საკუთრად
ჩქტნის საერთო, სათავად-აზნაურო ბანკი
ვაიხსნას.

ხოც დარწმუნებულნი ბმანდებით უოვე-
ლნივე, რომ რაც ახლა ფული გვეძლევა
დიად ძალე გავვიქრება გელში, და რაც
უფრო ძალე შემოგველევა, ისე უფრო ად-
რე სხუა ახალი გაჭირება დაგვადგება და,
ვინ იცის, იქნება უფრო ძნელი და უფრო
უვიდური გაჭირებაც გავვიჩნდეს.

სხუაგან თხოვნასა და ფულის გამსეს-
სებლების მიმართვასა ის არ ემჯობინებაა,
უფრო სასარგებლო არ იქნებაა, რომ სა-
ჭირო ფული ჩქტნის საკუთარის ბანკიდან
გავვიკონდეს? მეტადრე მაშინ, როდესაც და-
წესება სარგებლის რაოდენობისადა და ვა-

ლის გადახდის რიგისაცა ჩუქნდებოდა არის
დამოკიდებული, რომ როგორც საერთო
თანხმობით ვამჯობინებთ ისე დავაწყოთ?

ასლა თუ ვალი გვძირთებს ვისივე სომ
უსომოდ ქმტულობს ეს ვალი; — ჰრიკასის
ვალი თუ დროსედ ვერ შეეკაქეს; დავი-
რავებული მამული სომ გვეყიდება და სა-
უკუნოდ გვეყარება — რა დაგვიძლია რომ
ჩუქნს ბანკს ისეთი სარგებელი დაუწესოთ,
რომ ჩუქნთუხ სასარგებლო იყოს? რა და-
გვიძლია, ისეთი კანონები დაუდგინოთ, რომ
ჩუქნს ბანკში შეტანილი მამული იარ გვეს-
ყიდებოდეს, დროებითად შევიდოდეს სო-
ლმე ბანკის გამგებლობაში მანამდისინ ვა-
ლი გაიწმინდებოდეს, ასე რომ ვისაც ბა-
ნკის ვალი ეძირთება, ან თუთან იმას, ან
იმის მკლსა თუ მკლის მკლსა თავისი
მამულას დასსნა და გატანა უოველთუხ
შეეძლებოდეთ.

ეს კიდევ არაუფრო. მოგესხენებათ, რომ

ბანკშიაც ძალიან ჭმატულობს ფული, მეტადრე მაშინ, თუ ფულის ჰატრონებმაც სასარგებლოდ დაინახეს ამ ბანკში მეტანათვისის ფულებისა. — შესაძლებელია, რომ რვას, ათს, თუ თხუთმეტს წელიწადს ერთი ორად იქცეს ჩუჭნი აბაზი, ერთი სამად. ან მაშინ რა დაგვიძლის რომ უკანვე გავიტანოთ ეს დღევანდელი ჩუჭნი აბაზი, თუ მაინც და მაინც მოვინდომეთ გატანა, — ან ასე ვსთქვათ, — თუ ვერ გამოვიმეტეთ ეს ერთი აბაზი, რომ სამუდამოდ იქ იყოს და იმუშაოს ჩუჭნის შჯლებისა და მთამომავლობისათვის.

სამუდამოდ გავბედავთ მანეთიდან აბაზის გადაღებასა, თუ მხოლოდ დროებით შევიტანთ ჩუჭნს ბანკში, — ამით ორსავე შემთხვევაში ისეთს წუაროს აღმოვაჩენთ, რომ თუ ან ჩუჭნიც გამოგვექონდეს იქიდან კელის გასამართავი საშუალობა ცსოვრებისა და ჩუჭნის მთამომავლობისათვისაც

მოუწვევტელად იდინოს ამ წუაროდ.

და თუ ბანკის შემოსავლისა რომელიმე ნაწილი ჩუტნის ძულებისა და მთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ,—მაშინ, გთხოვთ კარგად დაუფიქრდეთ ამას,—რადენად შეიმსუბუქებთ თქუტნს მამობრივს ვალდებულებასა და რადენად კელს მოუმართავთ მრთელის საზოგადოობის განათლებასა!! სომ კარგათ იცით, რომ დღეი-დამ განათლებაჲა არის ჩუტნი ფესუდ და-მაუენებელი იმედი!

ნუ ასჩქარდებით უარის სათქმელად; აჩქარება მხოლოდ კეთილის საქმისათჳს არის კარგი;—და აქ თუ უარი წარმოსთქუთ, გამოტყილი უნდა ვჭსთქუა, რომ ისე ცუდი საქმე დაგვემართება ეოველთავე, რომ გაკეთება აღარას დროს არ შეიძლებოდეს.

როგორც თქუტნს ღირსებას შეეფერებოდეს, ისე იფიქრეთ ასლა. მერე ამ ცოტას სანძი, ერთად შევიერებით და

ერთად ვარჩიოთ. აბა ბატონო მკითხველ-
ნო, მოგწონთ თუ არა ეს ჩინებული; ეს,
კაცობრიობის უფესედ დამაუენებელი აზრი?
რადგენი რამ კეთილი წარმოდგება რომ შეს-
რულდეს ეს განსრახა. ეს რა თქვით? რომ
შესრულდეს ეს განსრახა? განა ეჭვც
უნდა ვიქონიოთ ამასედ? განა ქართულნი
რაც უნდა უსწავლელი იუოს და არა ეს-
მოდესრა, ამის წინააღმდეგს იტუვის რას-
მეს? რომელი ქართველი იქნება, რომ დი-
დის აღტაცებით არ დათანხმდეს და თუ
მართლა ეს უბედურება გვეწვივა, და რო-
მელმანმე ჩამალა ეს დიდებული აზრი, მა-
შინ თითოთ საჩვენებლები უნდა შევიქნეთ
და ამ ჩუქნს ჟურნალსაც ნულარავინ ნუ
დაეძღურება, რომ თქუას რამე. მაგრამ, არა,
ღმერთმა გვაძოროს. ან რა, სომ კარგათ
ვიცით, როგორც თუთან უფ. ეიფიანიც
ამბობს, ეს უული რაც უნდა ბევრი მო-
ცეცეთ, სოგს შინაძინაც არ მიგვეუებათ.

რა კარგი იქნება, რომ შავი დღისათვის
ორიოდე შაური გვექნება? რა საქები იქ-
ნება და რა მოწიწებით წარბოსთქუამენ
ის ძვლები, ის ძვლის-ძვლები, რომელნი-
ცა მიიღებენ იმ უკუგდებულს ფულებითგან
განათლებასა.

რედაქციისაგან.

ზადგანც შევიტყუეთ ბევრსა სურდა და-
ნარჩენი ნაწილების წაკითხუა, ჩინებულის
რომანის საბრალონისა, ამისათვის ჩუქნის
თხოვნით სთარკმნა უუ. დიდებულიძემ და
მივევით გელი ბეჭუდასა. ოთხს აუ სუთს ნომე-
რში, დაიბეჭდება რომანი. მსოფლოდ ვითხოვთ
ვისაც სურს. ცისკრის დაბარება, დროთი
გვაცნობონ.

რედ.

კლოვისი და რიკულფი მონადირე.

შესუთის საუგუნის დასასრულსედ საფრანგეთი ისევ ბარბაროსების ხელში იყო. დასავლეთის ნაწილი იმისი ეჭირათ ბურგუნდებსა, აღმოსავლეთისა ვიზიგოთებსა და სამხრეთისა ფრანკებსა. ფრანკები არ შეადგენდნენ საკუთარს ხალხსა; ეს იყო სკერო ლაგერი (ბანაკი), შემდგარი იათხის ფრანკების თემისგან. ისინი არაოდეს არა ფიქრობდნენ სანიაღვრო დაპყრობასედ ხალხისა; ისინი ხანდისხან დაეტემოდნენ სოფელ მეზობლებსა, აიკლებდნენ, მოარხრებდნენ და მიდიოდნენ ისევ თავიანთს ბანაკში რომმის კიდეებსედ, ესლანდელს ბელგიაში, სადაც სტროგებდა სალიძის ფრანკების თემი. უწინდელი დამპყრობნი გალლიისა, ანუ ესლანდელის საფრანგეთისა, რომას ელნი თითქმის სრულებით განდევნილხი იყვნენ იქიდან; მხოლოდ ერთიღა ქალაქი სუასონი იყო კიდეც იმათ ხელში, რომელსაც მაშინ განაკებდა ჰატრიტი სიაგრი.

აი ესრეთი იყო მდგომარეობა გალლიისა, როდესაც სალიძის ფრანკების თემში იყო რაღაც დიდი დღესასწაული. ეკელს მხედარი და იმათი წინამძღოლნი ლეიდნი

შეკრებილ იყვნენ განიერს მინდორზედ; ტანთ ეცვათ ნა-
ღირის ტყეები; ხელში ეჭირათ შუბები, გვერდზედ ეკი-
დათ განიერი მახვილები და მარცხენა ხელეზზედ საოარი.
წელში ერჭათ ეგელას დიდრონი დანები, რომელსაც ხმა-
რობდნენ როგორც ჩხუბში, ისე შექცევაში, ამისთვის
რომ იმითი სჭრიდნენ ზურსა და ხორცსა. იმ ღელასა-
წაუღზედ შუაში შემოერია უმაწელი კაცი გრძელ თმისა
შშჳწნიერის შესახედაობისა და ცნობილი როგორც უმ-
ჯობესი და უძლეველი რაში მხედარი. იმასთანავე ის შე-
აერთებდა თავის თავში ყოველს ზნეობითს თვსებაეებსა,
მოსაწონთა კელურთ ფრანკებთანთვს: დაუღაღაც მხნეობასა,
სიმცბიერესა, სისასტიკეს და კელურს მზაკვრებასა. ეს
კაცი იყო კლავისი, შვლის შვლი მერკევისა.

იმისმა გამოცხადებამ აწარმოვა ხალხში დიდი სიხარუ-
ლი; თვთ უხატივტემუღესნი ლეიდნი მიდიოდნენ კლავ-
ვისთან, ათთეკდენ ხელსა და ეფიტებოდნენ ერთგულება-
ზედ. ბოლოს სრულიად ხალხმა სამგზის ხმა მაღლათ
აღიარა ის თავის კოროლათ. შემდგომ ამისა ოთხმა მხე-
დაჩმა მოიტანეს დიდი ღარაკი, (мѣлъ) დასვეს ზედ
კლავისი, და შემოატარეს გარეშეშო ხალხისა, ამით და-
სრულდა დაგვირგეინება მეფეთ კლავისისა. ამას შეუდგა
სამხედრო თამაშობები და შექცევა: მოჭქონდათ მთელად
შემწყარი ხარები, გარეული თხები, გარეული ღორები და
იჩმები. მრავალი ბოჩკა ღვნით სავსები დაასრულებდა
შექცევასა. ყოველი კაცი მიდიოდა იმ საჭმელებთან ახლო,
ამოიღებდა სარტყლიდამ დანასა, მოსჭრადა რამდენიც უნ-
დოდა, მოვიდოდა მთასაკით სროკა ზურთან. იღებდა რამ-

დენიც უნდოდა და უცლიდა იმით სხეებს ადგილსა. ყო-
ველსავე ამას ხალხი იქმოდა არა ჩუმათ, არამედ დიდის
ხმანათით და სიტილით. ასე განცხრებოდნენ ხალხში
და მხედარნი. კოროლი კლოკისიკი და იმისნი მასლობე-
ლნი ნათესავნი და საზღვლებში შევიდნენ საკუთარს ზა-
ლაში. იქაც არა ყოფილა რა არა კითარი მდიდრული
მოძოთულობა; განსაცხრომელი იყო მომზადებული გრ-
ძელს ხის საჩაიაში; ოთხ კუთხივ იდგნენ ღვინით სავ-
სე ბოჩკები, გრძელს ხის გადუხურავს სტოლებზედ, კე-
რცხლის ბადიებზედ ელაგნენ მოქლათ შემწვარი გარეული
ღორები, ქუქები, იჩმები და სხუა ნადირის ხორცი. სტო-
ლების გარეშემო იდგნენ თეთრი ხის სკამები. თუთ კლო-
ვისი და იმისი მასლობელნი დასხდნენ. მონები მიატო-
ვედნენ იმათ ღვინოსა დიდდონის ჯიხვებით. შექცევა
და სიხარული იყო საზოგადო. სდებდნენ სანამლეოს თუ
რომელი რომელზედ მეტს შესჭამდა ანუ დალეკდა ღუ-
ნოსა, დასცინოდნენ მაღალის ხაჩხარით იმათ, ვინც ატე-
ბდა სანამლეოსა, ანუ რომელსაც აჯობებდნენ, ბოლოს
ბოლოს შუადამის შემდგომ გათავდა ღვინი და ვისაც
კიდევ შეეკლო ფეხზედ დგომა წავიდა შინისკენ.

განულო რამდენმანმე წელმა ამ ღვინის შემდგომ. კლო-
ვისი ხშირად წარმატებით დაეცემოდა ხოლმე თავის მე-
ზობლებსა. შემდგომ კლოკისისა ეველსზედ მამაცი და
ჩინებული ვაჟკაცი მხედარი იყო შემონადირე რიგულთი,
მეგობარი და იმასთან ერთი ბუბუი ნაზარდი. ერთხელ
კლოკისი იჯდა თავის კარავში, და იმ დროს გამოჩნდა
კარავის წინ რიგულთი. ეს იყო კაცი შუა ტანისა, კორო-

ღის ხნისა, და ჩაბმული ფრანკის ტანისამოსით: სრული იმისი ტანსაცმელი იყო სხუა და სხუა ნადირის ტუკისა, იმისგანვე დახრდილისა. აქვთ ეცეა რაღაც ქალამნის ნაირი ტუკი; სარტყელი, ქარქაში მახვილისა და თასმა, რომელზედაც ის ეკიდა, ეს სუეველს იყო თვით იმისგან შეკრებილი სხუა და სხუა ნადირობაში.

თმა ჰქონდა მოკლე და გარკვეული, რომელიც აჩვენებდა, რომ ის არ იყო უბრალოდ შთაბოებისა; ეველს ფრანკს უყუარდა და ჰატოვს სტემდა ემაწულს რიკულფსა; კერავინ კერ ესროდა შუღლ ისაჩს ისე მარჯვით რომელც ისა; სამოც ნაბიჯზედ ის აწოდეს არ აცდენდა ნიშანსა, მოაქწოდა გაჭენებულს ცხენსა, და თვთანა იჯდა ცხენზედ მშუწნიერის სიმარჯვით. ქამანდით იჭერდა გარეულს ცხენსა, შეხტებოდა ზედა, და აჭენებდა ვინემ გარეული სასტიკი ცხოველი დაღაღული არ დაეცემოდა ხოლმე მიწაზედ. რეინის მდინარეს გასცურავდა ხოლმე თვით განიერს ალაგს და თვით სასტიკს ჰავაში. ერთის სიტყვით ის იყო უმაგალითო მხნე კაცი, და არ იყო იმისთანა კაცი, რომელიც მზა არ უოფილიყო შეეწიას იმისთვის თავისი სიტყვებისა. მაგრამ რიკულფსა ჰქონდა ზოგიერთი იმისათნა ხასიათები რომელიც იმისნი ამხანაგნი კერას გზით კერ მისწვდებოდნენ, მაგალითათ: გაცხარებულს ომიში, აწოდეს არ აიღებდა საჭურველსა უსაჭურველო მტერზედ, ხშირათ თითონ თავისგანვე დაჭრილს მტერს, შეიგდებდა მხარზედ და გამოიტანდა, გაცხარებულის ომიდან, მოჭახანდა სისხლსა და შეუხვედა დაჭრილობასა და ზრუნავდა იმისთვის რომელც ნათესავი. გარდა ამისა იმის უ-

უწადა კლოვისი უსაზღვროთ; იმას ვეკლავდ შეტათ
ესმელა კაცთ მოუწარების გრძნობა, იმას სურდა, რომ
მოსზობილიყო დაუსრულებელი უსარგებლო მცხოვრებლებზედ
დაცემა და ავლებს, ერთის სიტყვით სურდა, რომ ფრანკნი
გადაქცეულ იუწენ ავასაკობიდან დამპყრობლებათ.

აი ასეთი იყო რიგულფი, მეგობარი კლოვისისა. რო-
დესაც კორნელმა ღაინას იხი კარვის კარების წინა, სი-
ხარულის ელვამ გადაუარა პირზედ და შესძახა: ვისა გზე-
და? რიგულფს! სად ხარ ეს სამი გზა?

მე სულ სანადიროთ დავდივარ, კორნელ, უთხრა იმას
რიგულფმა. აი ძველები, რომელიც მე შენ მოგიმისადე,
და ამ სიტყვებზედ მოხსნა მხედარს მთელი ტვირთი
სხე და სხე ნანადირეებისა.

აი, უფალო კორნელ, გარეული კამბეზის ტყავი
თქვენ ფეხთ საცმელათ; სამი შავი მელის ტყავი ქუჩათ,
გარდა ამისა მე მოგტკარეთ ტატხალი ორი ირემი და
და ორი გარყუთს, რომელიც მივაბარე თქვენს მონებსა.

გმაღლობ მამაცო, ტყის შხეცების მბრძანებლო, უთხრა
იმას კორნელმა, ამფერუმ რიგულფო! მეტი ჩამააჩუჭა იმას
გული მეგობრულის გრძნობით.

რის მამაცი ვარ, რა მამაცობას ნადირის სიტყვა ტყე-
ებში, როგორი ფრანკის დაწინაურულებას ესე, მიუგო რი-
გულფმა. თხ, კორნელ, როდის გამოვიყუან ამ უსაქმეო
ბისგანა?

რა მესმის ესა, შესძახა იმას კორნელმა. ვერ ერთი
თვეც არ გასულა, რაც ჩვენ დავბრუნდით ღაშქრობიდან;
გახსოვს როგორ უჭირდათა ჩვენ მხედრებს საშოკრის

ზიდავ?

მასსოკს, კარგათ მასსოკს ჩუქნი ანაკლები, მიუგო იმას მეგობარმა. ნუ თუ აკლებას და ახსრებს გარდა არა არის რა სხვა ნაირი, უფრო კეთილშობილური რაღაც ანობა, ღირსი კეთილშობილის და მამაცის ფრანკისა?

როგორ არ არის, რიკულაფო, მიუგო კაროლმა. უნდა გამოგიტყდე, რომ თითქმის დღე და ღამე მეც მაგასვე ვუთხრობ. კვიქრობ რომ შეიძლება დამოწმდება ხალხისა და არა აკლება და ახსრებს იმათი. შეიძლება დამოწმდება ხალხისა და იმათში ნიადაგ დასახლება და შეკრება რიგინათ, აუკლებლათ დამოწმდებას ნაყოფისა.

ოხ, კაროლი, ეკ სიტყვები, კგონებ თქვენს ამოიღეთ ჩემის გულისაგან. დიდი ხანია მეც სწორეთ აგრე ვფიქრობ. მაშ თუ აგრე რადან უფურებს, რაღა გაუენებს' უბრძანე ბუკების დაკვრა, შექკრებიე მამაცი ფრანკები, გაავიდეო და დავიპყრათ ახალი სახელმწიფო და დავეშვიო დროთ კიდეც იქა.

ეკ სულ კარგი, უთხრა იმას კაროლმა, მაგრამ აი რა მაყენებს მე. დამოწმდებაუდი ხალხი უცეო ვერ შეერთდებიან თავიანთ დამპყრობელებთ. მშვიდობიანათ ცხოვრება ერთათ ძნელათ შეუძლიანთ: მეტადრე ჩვენს ხალხსა და სხეების შუა დიდს საზღუაძესა სდებს იმათი სარწმუნოება. ამას გარდა საღა უნდა გიშოვნათ შეკავშირენი? მანამ ჩვენ მივსდევდით უცეო შეზობლებზედ და ცემასა და აკლებასა, სხენი ველურნი გერმანიელნი ხალიათ გვეწოდნენ, ჩვენსა და როდესაც სტრობენ, რომ

ფრანგნი შეიქნენ დამპყრობელნი, მაშინ იმათ ეს შეზღუდვასთან და აიღებენ იმათხედ საჭურველსა. მაშინ ფრანკის თემი ჩავარდება ორს მტერს შუა; დაუმორჩილებელს გაღლეებსა და გერმანიელს შორის. აი ჩემი ფიქრები, განატრია კლავისმა; ჩემი მახვილი მზათ არის; მაგრამ შეუიქრება როგორღაც იმისი ამოღება, ამიტომ, რომ რაკი ერთხელვე ამოვიღებ ან უნდა დავიმორჩილო უცხო ხალხი და ან მოგვჭდე.

აქ ჩაუიქრდა რიგულფი; და დასცხრა იმისი ჭახუკები. რივი შინაგანი სიცხე მშუშნიერის და გონიერულის კლავისის მსჯელობისაგან, და ბოლოს სამწუნხაროს ხმით ჰკითხს კაროლს: როდის დასდგებიან, თქვენის ფიქრით, დღეები დიდებისა და ძლევისა?

მე თითონაც არ ვიცი, მიუტოვო კაროლმა, მაგრამ ამას კი გეტყვი. რომ მტერი რამ არის საჭირო, რომ მე მოგვიდო კელი საჭურველსა. ახა ერთი რაიმე განმჯავროს სიაგრამი, დაიჭიროს ვინმე ჩემი ფრანკთაგანი, მაშინ მე იმას გამოუტყვადებ აუცილებლათ ომიანობასა. მე წავართმევ იმას სუასონსა, შეკმუნსაც დანარჩენს ოდესმე ძლიერის რომაელებისა და დავიპყრობ ბოლოს სრულიად გაღლიასა, და მაშინ ის შეიქმნება ჩემ საკუთრებათ; აი რა პლანები მაქვს თავში გამოხატული.

უმაწვლი გორილი გაჩუმდა ბოლოს და დაუწყო თავსა ლეხში უურება რიგულფსა. იყო დაფიქრებული კარგა ხანსა რიგულფით. ბოლოს უცებ შესძახა თავის მეგობარსა: კაროლო კლავისო, შულის შულო მეროვეისაც. გარწმუნებს მე შენა, რომ შენ უთუოთ დავიპყრობ გაღლიასა

და ფრანგი შეიქმნება ოდესმე ძლიერ ხალხათ. ამ თქმაში
თქალები უელავდა იმას რაღაც ნაირათ, რაღაც ნაირი
ძლიერი საგრძნობელი განამხსენებდა იმ წამში სახეს
მშუტნიერის მხედრისას.

გორალი იყო ამასეჲდ ძლიერ განცუფრებული. უფუ-
რა რიგულფსა დიდხანს თქალებში და ბოლოს უთხრა:
როგორ მეუბნები მე შენ მაგ ნაირის დარწმუნებითთ? შენ
ვინ მოგცა ნიჭი წინეთ გამოცნობისა, ანუ წინასწარმე-
ტუელებისა?

რიგულფმა ამასეჲდ აღარა მიუგორა; ეტუობოდა, რომ
ის იყო მოცუელი რაღაც ნაირის ფიქრებით და იმ ფი-
ქრების გავლენის ქქქმ იმან წაიბუტბუტა: მშჯდობით
საუგუნო მეგობარო! მე ისევ სანადიროთ მიუდივარ, და
უგანსგნელათ გეფიტები, რომ მე შენ მინამდინ გელარა
მნახამ, მანამ არ აიღებ საუსონის ქაღაქსა და იმით არ
იწეებ დამოწმებებს მთელის კალღისას!

სოქქა ესე და სანქაროთ გავიდა კარავიდან. როდესაც
კალღის მოგო ფიქრებიდან, გამოუყენა იმას კაცი; ეძე-
ბეს ბევრი, მაგრამ ველარად იზოვნეს, ბოლოს სტნეს,
რომ ის თავისის საყვარელის მხედრებით წასულიყო ისევ
სანადიროთ.

რიგულფი თავისის ამხანაგებით მართლათ შევიდა
სქელს ტუეში, და რამდენსაც ბიჯს სდგამდა წინა იმდენს
მიუახლოვდებოდა სუსონსა, და იმის ამხანაგები იყუ-
ნენ განკვრეკულნი, რომ რიგულფი ასე დიდზედ დამო-
რდა თავის ბანაკებსა, და არ ეტუობოდა, რომ ის ყო-
ფილიყო წარსული სანადიროთ. დამეს განატარებდნენ

ქოხეში, რომელთაც თითონვე იკეთებდნენ ხეების ტო-
ტებისას. რიგულუი ხშირათ წაღსაც ბუტბუტობდა თა-
ვისთვის, უკვირდით ძრეულ ესა იმის ამხანაგებს და გერტ
ერთი კა კერ უბედავდა კვიოსა თუ წას ნიშნავდა ის
ბუტბუტი.

რამდენიც უფრო დაუახლოვდნენ ფრანკნი სუასონსა,
იმდენი უფრო და უფრო ფრთხილობდა რიგულუი,
და ცდილობდა აჩვიოს არ შეჭეროდა გზაში,
და ხშირათ ეტეოდა ხოლმე ამხანაგებს: დაიხსოვით კა-
რგათ გზა; დააწყეთ ჭდოები ხეებზედ, რომ უფრო ად-
ვილათ იზოვნათ გზა, როდესაც უკან დაბრუნდებით.
ეტეობოდა კი, რომ თითონაც კარგათ არ იცოდა რიგუ-
ლუმს თუ სად მიდიოდა, და ბოლოს გადასწყვეტა გას-
ულ იყო შარა გზაზედ. მაშინ იმათ ხშირათ შემოეყრუ-
ბოდნენ ხოლმე სხუა მგზავრები. მგზავრებს უკვირდით
ფრანკების ტანთ სცმელი და აუვლიდნენ ხოლმე ჩუმათ
გვერდსა. რიგულუმს იცოდა კარგათ ღათინური ენა და
ამ დონის ძიებით ჰკითხავდა გამეფულთ სუასონის გზასა.
როდესაც დაწნა იმ ქალაქამდინ რამდენიმე ვერსტი, მაშინ
ის შესდგა უკანასკნელს ტყეში და უთხრა თავის ამხანა-
გებს: ძმანო ახლა კი დაბრუნდით ბანაკში; მიდით და
უთხარით კარგულს კლდისს, რომ რიგულუი ნადირობის
დროს უტეო შევიდა რომაელების ქალაქშია და ის იქ
დაწნა ტყეკთა რომის მხედართ მთავრის სიგრის გუ-
ლშია თქო.

ვერს, ჩუტნ მასას კერ ვეტყუო, ამიტომ რომ ებ ტყუ-
ილია, და მინეო ჩუტნ ცოცხლები ვაჟთ შენ ტყვეთ კე-

რეინ წაგიყვანს, უთხრეს იმას ამხანაგებმა.

მე თქვენს გარწმუნებთ, რომ ეს ასე მოხდება შეთქი, უთხრა იმან რიკულუმმა, აი ესლა მე შეგალ მტრის ქალაქში და შეგველია, რომ მე იქ დამატყვევებენ.

რა გვესმის ესა, შესძახეს ამხანაგებმა, ჭკნაზედ ხომ არ შეშლილხარ? თავსთავათ უჩხუბრათ ტყვეთ აძლევენ თა-ესა, მტრებსა?

აზა, ამხანაგნო, უთხრა იმათ რიკულუმმა, მეწმუნეთ, რომ სრულს გონებაზედა ვარ და თუ ასე ვიქცევი, შეჩეპი ანგარიში მაქვს, რომელიც თქვენს არ უნდა იცოდეთ; მხოლოდ შესარულეთ ისე, როგორც მე თქვენს, ვითარცა თქვენს უფროსი, გიბრძანებთ.

ეს სიტყვები იყო თქმული ისეთის სიმტკიცით, რომ ვეღარც ერთმა ველაზა გაბედავს ეთქვა ამის წინააღმდეგი; მხოლოდ იმათ სწუდებოდათ გული, როდესაც წარმოიდა გენდენი, რომ იმათი ჩინებული და საუწყარული ამხანაგი და უფროსი ისე უბრალოთ იგდებდა თავსა ხიფათში და ერთმა იმათგანმა უთხრა:

ესთქუათ, რომ ჩვენს კარგათ გაგიგენით გზა ჩვენის ბანაკისაკენ, მივედით და უთხარით გორალსა, რომ შენ ნადირობის დროს, უცეფ დაუხლოვდით სუასონსა და ჩაუარდი მტრის ტყვეთა, მეტე იცი რა შეუდგება ამას?

რა უნდა შეუდგეს, ჭკითხა საჩქაროთ რიკულუმმა?

მაშინ კლავისი ჩვენს თავებს დაგაჭრის უთუოთ; ჩვენს შეგვრაცხს ის მხდალუბათ.

აქ დაფიქრდა მართლათ რიკულუმი, ბოლოს გაიქნია თავი და უთხრა: თუ რომ ძრიელ, გაგიგინსდეთ თქვენს

გოგოლი, უთხარით იმას, რომ მე ძალათ მივეუტი თბუკი
მტკრსა ტუკეთა; რომ რიკულოგი მოგულის სუასსონაში,
რომ შენ მიეშელო და გამოიხსნა ის ტუკობიდა-
განა, ჩუქნი გელარ ღუდექით უარსედ რადგან ის
არის ჩუქნი მბრძანებელითქო, ახლავი მშუდობით, გას-
წით ესლავ შინისკენ ულანარაკოთ.

ამის შემდგომ გაიქცა რიკულოგი როგორც კი შეეშლო.
რამდენსამე წამს უუტრებდნენ იმას განტკიფრებულნი
ფრანკნი, და როდესაც მიიმაღლა რიკულოგი, ისინიც დაბ-
რუნდნენ უკახ, და მიაშურეს გოგოლს კლოვისთან.

რიკულოგი გაჩერდა თვთ ქალაქის ჭიშკართან, იქ იმან
ცოტას ხანს დაისვენა, გაისწორა ტანისამოსი, მოიწმინდა
პირსედ ოთღი, მოიჭირა სარტუელი, გაისინჯა თავისი
მახვილი და უშიშრათ შევიდა ქალაქში. იმ დღეს იყო რაღაც
დღესასწაული; ყოველი მცხოვრები იყო ეკლესიაში; ვი-
საც ცოტა დაეკვიანა ისინიც მწკრივით მიეშურებოდნენ
ტაძარში, ჯერ რიკულოვს აწავინ არ მიაქცია უურადლება.
იმას ეგონა, რომ იქ სწამოებდა რამე სამხედრო სათა-
მამო, იმ გვარი, როგორიც იმას ენახა თავის ხალხში,
და მისდევდა ისიც სხეებსა, უნდოდა რომ მალე შეენიშნათ
ის. მე ან მომეკლენ და ან დამიჭერენ ტუკეთა! ფიქროს-
ბდა რიკულოგი და მაშინ კლოვისი მოჭკიდებს კელსა სა-
ჭურველსა, და აღარ დასდებს იმას, ვინემ სრულიად არ
დაიპყრობს გალღასა. —

ხალხი, რომელსაც ის მიხდევდა უკანა, მივიდა შეიდა-
ნსედ, სადაც იდგა მშუქნიერი ეკლესია, ეველა შედიოდა
შიგა.

ქუჩაში თუ აზვინ არ მია'ცია ურადლებს რიგულ-
 უს, აქ კვალესიში, ყველს აღელვდა, ყველს შიშით და
 შეურაცხებით უუურებდა ნთიურს რეკვენსა, რომელიც
 ისრეთის გაბედვით შეპბილწებდა წმინდას ტაძარსა. წიწკა
 გამოსუღიუ და დიაგნები ურბებდნენ ხალხსა ნაკურ-
 თის ზურსა, ჩეჭულებისებრ ზირველის საუკუნისისა.
 რეგორტ სხვები, ისე რიგულფიცი მივიდა დიაგონთან;
 ყველს. კრბებოდა, ყველს ენიხლებოდა ისი მაცრამ გა-
 მოგდება კი კვალესიიდან იმისი კერაჲინ გაბედა, — ეკო-
 ნათ, ვინ იტის იქნება ქრისტიანი იულისო. რიგულფმა
 არ ღაიცდა ვინემ მისტემდნენ იმის ზურსა, ხალხ თითონ
 ნაკურთხი ზერი, წამდენიც უნდოდა და დაუწყო იქვე ჭამა.

მაშინ დაიწყო ყვირილი ხალხმა, და რომის შეფის
 მოადგილემ სიაგრბიმ, რომელიც იჯდა მაღლობს ადგილ-
 ღსა, დაიძახა: მხედარნო! სტატეო კელი მაგ ბარბარო-
 ზსა! — ერთის მხრიდან მოკევიგნენ იმას მხედარნი და მე-
 ორეს მხრიდან მივიდა ეპისკოპოსი, ანიშნა კელით სა-
 ღდათებს, რომ კელი არ ესლათ რიგულფისათვის,
 და თითონ დაუწყო იმას კოთხკა; ვინ ხარ, რისოჯს მო-
 სულხარ შენ აქა და ანუ ქრისტიანი ხართო?

— მე ვარ რიგულფი მონადირე, მიუგო იმან; შოამო-
 ებით მე ვარ ფრანკი, მე არა ვარ არც ქრისტიანი, და
 არც მონათლული; მე მოკესულვარ სტინათ ასაგდებათ
 რომაელების უძღურებისა.

ხომ ხედავო, რომ ეგ წარმართი უოფილა, დაიყვირა
 კიდევ ზატრიტიმი; სტატეო მეოჭი ხელი მაგ მხედსა,
 რომელმაც შეპბილწა სიწმინდე ტაძრისა, გაკრია ჩუჭნს

სამო ტრახეში და დასტინის დომის მთავრობასა.

თუ ეკ ქრისტიანი არ არის ექლა, შეუძლიან სვალევი შეიქნეს ქრისტიანთ, სოქქა განსვენებით ეპისკოპოსმა; ვინ იტის ნება უფლისა!

ხვალ ეკ უნდა მოკუდეს იმავე წარმართთ, რომელითაც ეკ შემოვიდა ხუცნს ქალაქში, სოქქა სიაგრამ; სტატეო ხელი მაგ ავასკასა!

-- არა, მიუტო ეპისკოპოსმა; ცაძაძი ღუთის მიიღებს თავის საფარველსა და საბოთულს ქუჭმ ეველას ერთ ნა-
ირათ. არავის არ შეუძლიან გაყვანა იმისის წმინდა საბოთუ-
ლისგან თუ წარმართისაგ.

ეპისკოპოსო. შექძას იმას სიაგრამ, გიბჩევთ ნება ეკ-
ფლობით, მომცეო მე თქუწნ ეკ ზაზბაროსი, თორემ მე
მოვიხმარ ძალასა.

-- არა, შენ არ შეგიძლიან აქ ძალა იხმარო; შენ მა-
გით დაარღვევ იმპერატორის ნებას, რომელმაც შენ თუ-
მცა დაგადგინა სუასსონის მმარველათ, მაგრამ ეველუ-
სიასაც მისცა იმდენი მთავრობა, რომ დაიტევას შენის
დეკნულებისგან კაცნი უმანკონი, კაცნი, რომელნიც ექუ-
ბენ ცაძაძში ნავთ საუუდელსა.

ამ სიტუეებმა მოიყვანეს სიაგრამ განჩისების სიცო-
ფეში; იმას უნდადა ებრძანებინა სალდათებისთვის რომ
ქელი ექრათ ეპისკოპოსისათვის და შეეძრათ რიგულფი,
მაგრამ როდესაც მიიხედ მოიხედა, ეველას სსხეუდ შენი-
შნა, რომ ეველანი მზა იუქნენ დაეჭირათ მხარე ეპის-
კოპოსისა, ვინემც იმისი. ამისთვის დაფიქრდა ცოტა ხა-
ნს, ზვირემ დაშომმინდა, და ბოლოს გბილების კრახუ-

ნით უთხრა ეპისკოპოსსა:

კარგი, მე დამითვია შენთვის ეგ ბაზბაზოსი, მაგრამ ამას კი გეტყვ, რომ როგორც კი გამოვა გარეთ ეკლესიიდან, და ჩავიდებთშეგას ეკლესიაში, მაშინვე ვუბრძანებ მაგის ღუგმა ღუგმათ დაუწყვას.

გარეთ რაღ გინდა ისა ჭექნი, უთხრა იმას ეპისკოპოსმა.

ბოლოს გამოვიდა სიაგრი თავისის მხედრებით ეკლესიაში და, მაგრამ შემდგომ სალდუნისაჲ წამისა ისე უცხოჲ შებრუნდა უკანვე.

ყოველად სამღვდელთა, უთხრა იმას სიაგრამ, მე შემიძენა რეზიდაცია შენი უფლება მაგ ბაზბაზოსზედ. კინემ ეგ იმეორებს ეკლესიის კედლებზე, მაგას აღარ მიეღვის საშინებება, მაგრამ ამის ნება მაინც მომეცა, რომ მე მაგას გამოვკითხო, იქნება ეგ მოსულა აქა იმისთვის, რომ ჩააგდოს ხიფათში ქალაქი, რომელიც მე მაქვს მთავრობისაგან ჩაბრუნებული.

შენ მაგაში მართალი ხარ, უთხრა იმას ეპისკოპოსმა, აი წავიდეთ ჩემს სახლში, წავიყვანოთ ესეც იქა და იქ შეგიძლიან შენ მაგას გამოვკითხო რაღ გინდა.

მაშინ სიაგრამ უბრძანა რიგულთსა, რომ მიჰყავოდა ის იმით, მაგრამ რიგულთი იდგა უძრავათ როგორც ქუჩა. მაშინ ეპისკოპოსი მიუბრუნდა ყმაწვლს ფრანკსა და უთხრა იმან წყნარის ხმით: შჯლო, გთხოვ წამოგვეყვ. მაშინ რიგულთმა დადუნა თავი და გაჭნა ეპისკოპოსის სახლში, მაშინ სიაგრამ საჩქაროთ დაუწყო იმას კითხვა:

შენ წელან სოქვ, რომ ფრანკი ვარა, განა?

— დიად მე ვსოქვ, მიუტოლო რიგულთმა. მე ყოველთვის

რაც მითქმამს სულ მართალი მითქმამს.

მაშ თუ აგრეა მე შენ გამომიტუდები თუ რისთვის მოსულხარ სუასსონში?

— ზატრიცი, უთხრა იმას რიგულუმა, თუ რომ მე მდომადეს მოტუეება გისივე, ადვილათ შემეძლო მოტუეება შენიც და სხვისაც. მაგრამ მე მითქმამს ერთხელევი, რომ ტუეილს აწავის არ გეტუვი; მე სრულებით სხუა ფიქრითა ვარ მე აქ მოსული.

ახა რა ფიქრით?

— მე მინდა გავსინჯო ადგილი კლოვისის ტიხე დარბაზისათვის, როდესაც ის აიღებს სუასსონსა.

ხელავ რას ამბობს ეს მხეცი, შესძახა მადლის მართლჯანის ხმით სიაგრამ ეპისკოპოსისა; მიმიშვი მე მაგასთან, მე გუბრძანებ, რომ ესლავ გაბდებინონ მაგას თავი და გაუგზავნი იმას ძღუწნათ კლოვისსა.

აჲ, მე შენ არ მიგიშვებ მაგასთან, უთხრა იმას მოსევანებით ეპისკოპოსმა, თუ რომ დღეს მე შენ დაგიომობ ამ ბარბაროსს, ხვალ შენ მომთხოვ სხუას რასმეს, ზეგ კიდევ სხუასა, და ამ რიგათ დასასრული აღარ ექნება შენს მოთხოვილებას.

ზატრიციმ დააგრაჴუნა კბილები, მიუბრუნდა რიგულუსს და უთხრა: კარგი იუავ შენ აქა; მაგრამ გასსოვდეს, როგორცკი გამოხვალ შენ აქედამ, იმ წამს მოგელის შენ თვთ უსასტიკესი სიუფდილი.

როგორ იცი, რომ შენ მაშინ გექნება კიდევ იმდენი უფლება, რომ მოაკვლევინო ჩემი თავი, უთხრა იმას რიგულუმ.

სიაგრძე ადუღდა მზისხანებთან და უბრძანა მოემზა-
დებინათ ჯარები, რომ მზათ უოფილიყო გაბედვით მი-
ჭებულებდნენ კლავისსა, თუ რომ ის მართლაც მივიდო-
და სუასონსად.

რეკულუს გი უკვრდა, თუ რა რიგათ შესძლო ერთმა
კაცმა წინააღმდეგობა ასის შეჭურვილის მხედრისა, დიდი
პატრივისტმა იგრძნო გულში იმ ჭაღარა მოხუცის ეპის-
კოპოსისა, რომელმაც ერთის, ორის სიტყვით შეაჭყენა
გამსადებული იმისთვის სასიკუდილო საჭურჭელი. გაზდი-
ლი იმისთანა ხალხში, სადაც მხოლოდ ჭიხიკური ძალა
იმორჩილებდა ყოველსავე, მხარეში, სადაც არ იცოდნენ
არა ვითარი სჯული, იმან იცოდა რომ ჭიხიკურს ძალას დი-
დი შეუძლიან; მაგრამ იმისი კეთილშობილური სული
იმასაც მიმხედარიყო, რომ არის ძალა უშემდეგელესი
მხეჯლისა და შუბისა. ის გრძნობდა კარგათ და იყო
მადრიელი, რომ ეპისკოპოსის სიტყვებმა ის გადარჩი-
ნეს აუტილებელს სასტიკს სიკუდილსა. და გადმასწავტა
გასულ იყო გარეთ, უნდოდა მიეტა თავი სასიკუდილოთ,
რომ ამით მიეტა შემთხვევა კლოვისისათვის, რომ დროსად
დასტუმოდა ის სუასონსა.

როდესაც პატრიტი გავიდა, რეკულუსმა დადუნა თავი
ეპისკოპოსის წინა და უახრბა: გმადლობ მოხუცო, შენ
გადამარჩინე შეჭსიკუდილსა.

— არა მე, არამედ იმ ღმერთმა გადარჩინა, რომელსა
საც მე ვემსახურები, იმას შესწირე მადლობა.

რა რიგათ უნდა მე შეგწირო იმას მადლობა?

— ილოტე.

— მეტე რათ უნდა იმას ჩემი ღოცუა, ღოცვა ლითონის ბაზბაზოზისა?

— იმისთჳს უოგეღივე ღოცუა სისიამოვნოა. ის აბე უუურებს თუ ვინ რა სიტყვებით ღოცულობს, ის უუურებს მხოლოდ სულის გრძნობასა.

რიგულუმა დაღუნა თავი და ღრმით ჩაფიქრდა. ეპისკოპოსი კი უუურებდა კმაყოფილებით მშუტნიერთა ჩასხმელს ემაწელს ფრანკსა, და გრძნობდა რაღაც უანგასროშო სიუტარულსა იმ წამმართისას.

შემდგომ დიდის ხნის ფიქრისა ფრანკი მიუბრუნდა ეპისკოპოსს და უთხრა: ეპისკოპოსო; შენ გადამარჩინე მე სიკუდილსა და იმით მიჩვენე მე შენი ძალა; შენი სიტყვები ღრმით ესობიან ჩემს გულში. თუ რომ ვიცოდა, რომ ჩუტნ ერთათ ცხოვრება შეგხედება დიდ ხანს, ვფიქრობ, რომ მე შევასრულებდი უოგელს შენს სიტუჲსა, რომელსაც ამდენი ძალა აქუხ, ანა კი მშადობით; მე აღარ დავდგები ამას იქით აღარც ერთს მინუტს შენს სხელში.

მეტე სად გინდა წასვიდე, რომ გახსოვს რა გითხრა ზატრიტიმი; გასკლა შენი აქედამ და შენი სიკუდილი ერთიან კბ მე კარგათ ვიცი, მაგრამ მე კბ ვერ შემაშინებს, აი გავდივარ აქედამ,

განგებ რათ ეკებს სიკუდილსა შჯლო, რის გულისათჳს?

იმისთჳს, რომ ღრმად დამეორჩილონ კლავისმა გალღია: მე შარწმუნე მოხუცო, განაგრძო რიგულუმა, რომ სულ მოკლეს ხანძი სიკრიტ და მოუღი გალღიათ სულ კლავისის ხელში იქნება; რამდენიც აღრე მოუვს ჩემი სი-

გუდილის ანბავი კლავისსა, იმდენათ ის ადრე დამოწმ-
ხიდეებს იმათ.

მაშ მაგისტრს აძლევ თავსა სასიკეთდინოთა?

დიაღ ამისთჳს, სხვისთჳს არაფრისთჳს. მე სინაწყოლით
ავითან დიდს ტანჯუასა ოღონდგო კლავისმა დაიპყრას
სუასონი. მე ჭკერა მე მწწამს, რომ ჩემის მოკულის დღი-
ადამ იწუებს დიდება ფრანკებისა.

ეს სწორეთ მოწამეა თავის სჯულსედ, სთქუა ბუტბუ-
ტით ეპისკოპოსმა; ამას აქუეს გუელი ძრეულ კეთილშო-
ბილური; ეს ის ყამიჩი მიწაა, რომელსედაც შეიძლება
კარგათ აღმოცენდეს სიტუქა ღუთისა. რხ ნეტავი შემე-
ძლავს, რომ მე ეს გამოვიგებანო, ცოდვისაგან და ვაცხო-
ვნო ამისი სული.

რეკუდფიცი სიუწარყოლით უუუტებდა მოხუცს ეპისკო-
პოსს, და მართლათ ეძნელებოდა იმისი დაშორება, მა-
გრამ ბოლოს შეჰკრიბა ყოვლის სულის ძალა და უთხრა:
მშვედობით ყოვლად სამღუდელო, ვგონებ ჩუენ ერთმა-
ნერთი ვეღარა განასოთ; მოძეცი მე შენი მეგობრული
ხელი.

დაიცა, ემაწვლო კაცო, სად მიხვალ, ავი მადრეელი ვა-
რო სიკუდილისაგან გადაწეგნისათჳსო, სად არის ის შად-
ლობა, მე იმას ვერა ვხედავ.

აი აქ არის ღრმით ჩაბუტდილი, უთხრა იმას რეკუდ-
ფმა დაიდო რა კელი გულზედ.

შენა სთქვ რომ კლავისო უთოვოთ დაიპყრობს სია-
გრასათ, თუ ასეა მაშინ იმისი ჭარები როცა შემოვლენ
სუასონში, მაშინ ვინ უნდა დაიცუას ის ეკლესია, რომ

მელმაც შენ თავის სართულს ქეტშ დაგიოფარა სიკეთე-
დილისაგან. ვინ დამიცვამს მე მოხუცებულს უძლურს
კაცსა, და ჩემს მოძმეო, რომელნიც მზა იყვნენ ენაწილ-
ნათ შენთვის ზურმარდი, ვინ იქნება ჩუქნი მფარველი,
თვნიერ შენსა, შემძლებელის კლოვისის ერთგულის მე-
გობრისა?

რიგულთი შესდგა და კიდევ დაფიქრდა ძლიერათ.
ეზისკოსის სიტუტებში ძლიერათ იმოქმედეს იმაზედ. გრ-
ძნობდა, რომ მართლათ მხალოდ იმ ღონის ძიებით
შეეძლო გარდახდა კეთილმოქმედებისა, როგორც ეუბნე-
ბოდა იმას ეზისკოსისი.

გარდა ამისა, განაძმდო ეზისკოსისა. იქნება შენი სიკეთე-
დილი სრულდებით საჭირო არ იყოს კლოვისისათვის; იქ-
ნება უიმისათად აიღოს იმან ჩუქნი ქაღაჩი, და ვინ
იღის როგორ დასჭირდეს იმას შენი სიტყვად, თუ
რომ მართლათ ღმერთის გადუწევეთა, რომ იმან დაიმო-
წილოს ჩუქნი ქეტყანა.

კმარა, შესძახა იმას რიგულთა, რასაც ამოხა სულ
მართალია, მე უნდა დავრჩე აქა, და გადაგარჩინათ თქ-
ვენს ეველა სიკეთედილსა, როგორც მე თქვენს გადამარჩი-
ნეთ, მე მოვალე კარ თქვენსი, ვალს სწორეთ გარდახდა
უნდა.

მაშ კარგი შჯდო, შენ დარჩი აქა ჩემს სახლში, და
იტხოვრე დრომდის მშჯდობიანათ, მეგი ეს არის წავალ
და წვრილათ შეკატეობინეთ სიაგრის კლოვისის განზრდა-
ხვას, ეს ჩემი მიუცილებელი კალია.

ერთის კვირის შემდგომ სიაგრი გავიდა თავისის ჯა-

რებით სუასონიდაჲ; კლოკისმატ, იმ წაშიდამ, როდესაც სტნო, რომ რიკულუი იყო ტუვეთ დაჰქრელი, შეჰქრისა ვეელა ფრანკი, მიიწვია საშველათ გერმანიელები და მისწრაფდა სუასონისაკენ, რომ ესეკლა თავის მეგობრისათჳს თუ ის კიდევ იყო ცოცხალი, და ასე დესაჲ მტერი თუ ის იყო მკუდარი. მასჯობლათ სუასონისა შეიკარნენ ორივე ჯარები, ასე რომ ერთი შეიკრეს ყელად. იმ დროს რიკულუისათჳს მიეტანათ ამსაკი, ვითომც რიკულუი მოკვლათ. როდესაც იმან დაინახა რომაელები და გაღულები აუღუდა იმას სისხლი.

— ფრანკო, უთხრა იმან თავის მსედრებს: აი ჯარები სიაგრისა; აი ის ბოროტ მოქმედი, რომელმაც დაღუპა ჩემი მამა და მეგობარი რიკულუი; დავსაჯოთ ეგენი ჩუქნ სასტიკად; დავუვაროთ სისხლი იმის მკვლელებისა ნუგუშად რიკულუის სკვდიანის აზრდილისა. ამ სიტუეებმა ძლიერათ იმოქმედეს ჯარებსზე და მოაგონეს იმათ ვეელასთჳს საყვარელი ამსანაკი რიკულუი. შურის ძიებამ აავსო სული ყოველის მსედრისა, და ამისთჳს მასტათ დაეცნენ ისინი რომაელებსა და მოახდინეს არეულება რომაელებში. სიაგრი ძრეელ ცდილობდა განემსკეპინათ თავის ჯარები, მაგრამ ფრანკთა აჯობეს, და შემდგომს დიდის სისხლის ღვრისა რომაელნი იძულებულ იყვნენ გაქცეულ იქნენ, ეს ძლევა აღდებდა გაუმარტუელს სუასონის ქალაქსა კლოკისის ხელში, და იმან იისცა სრული ნება თავის ჯარებისა იმ ქალაქის აკლუბისა და მოახრებინა.

ხვალ ვხე აღარ ანოვს, სოქეს კლოკისმა იმ წეულს

ქალაქსედ, სადაც იყო დაქტეული სისხლი ჩემის
ერთგულის რიგუღვისა; სწავ სუასონისაგან დარჩება მხო-
ლოდ სრუკა ქეებისა და კატების ლეშებისა.

და ფრანკთა მართლათ დაიწეს აკლესა და ხოცვა ქალა-
იქ სამცხრუკებთა. ტეცხლის ამღმა გაანათა ცა და განმა-
რტეხულს რიგუღვის სუნაგამდინატ მიაწია ხმამ ფრანკე-
ბის სმიანობისა. ის მაშინვე მიხედა, რომ კლოვისი
იყო იმ დროს სუასონში; ის შეკდა ეპისკოპოსის ოთა-
ხში და უთხრა: ევლად სამღუდელო, აკი გითხარი მე
შენ, რომ კლოვისი სუასონს აიღებს მეთქი?

— განა შენ მოგივიდა ამბავი რამე კლოვისისაგან?

— აი შესუდე აიმი ტეცხლის შექსა ცასედ; დუგდე
ეური იქ შორს სმიანობასა და შენ თითონ მახედები თუ
რა ამბავი მივიღე კლოვისისა.

— ღმერთო, სთქუა მაშინ ეპისკოპოსმა, რას ნიშნავს ეს
სინათლე და ზრიალი.

— სწორეთ ფრანკები ადრინ იქა, გაწმუნებ ეოვლად
სამღუდელო, უთხრა იმას რიგუღვმა.

ღმერთო ჩემო, სთქუა კიდევ კენესით ეპისკოპოსმა,
აი მოვიდა უკანასკნელი დღე, როდესაც ტაძარი შენი უნდა
შეიბიღწოს!...

ეოვლად სამღუდელო, უთხრა იმას რიგუღვმა, საჭირო
იყო მხოლოდ, რომ მე შემეფარებინა თავი თქუქსს ეპ-
კლესიაში და ამით მე გადავრჩი აუცილებელს ტანკვით
სიკუდილს; ახლა მე შენ გეტყვ, რომ საჭიროა მხოლოდ
მე გავიდე და ვეჩვენო ფრანკებსა, რომ ვერც თქუქსა და
ვერც თქუქსის ღმერთის ტაძარს გვრავინ შევხარ.

მაგრამ ეპისკოპოსმა აღარ ათხოვა უური რიგულუთის სიტყვებს და უბრძანა ეკელა სამღვდელთა ერთთ შეკრებილ იუვნენ ეკელესიაში და იქ საკურთხეულის წინ განმზადებულ იუვნენ სასიკუდიანთ. ემაწელი ფრანკი კი დუღდა სურვილით, რომ გარეოდა თავის ამხანაგებში და მოხვეოდა თავის მეგობარს კოროდს კლოკისს; იმას აყენებდა მხოლოდ ის შიში, რომ უმისოთ არ დასტემაო და ან აკლათ საუდარი. ბოლოს გავიდა ის და დაიწყო სიარული წინ და უკან ეკელესიის წინ. უცაოთ გა-მოჩნდა გროვა ფრანკებისა, რომელნიც სმა მალა ყვი-როდნენ: შური უძიოთ რიგულუთისათჳს; სასტიკი სიკუ-დილი ჩუქნს მტრებს!

ბოლოს გასტყენს გაღვანთ ეკელესიისა და შესტვიგ-დნენ შიგა; მაშინ რიგულუთი მიეგება იმათ და შესძახ-შესდევით; ხომ სედავთ, რომ მე ისევ ცოცხალი ვარ, ხუ-ლი არ ახლოთ იმ ადგილს, რომელმაც მე გადამარჩინა სიკუდილსა; აიკლათ, დასწვით სუასსონი, და ამ ეკელესიას კი კელი არავინ შეასოთ!

